F 133
1937

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. აპრილის 20. № 8 ცფილისი

შინაარსი

**მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა.
სოფლის მეურნეობა.**

49. 1937 წლის ციტრუსოვანი კულტურების საგაზაფხულო კვირტმყნობის (ოკულირების) გეგმის შესახებ.

50. ზალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობისათვის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

51. 1937 წლის გაზაფხულზე გამოკვებილი ცაბრეშუმის ჭიის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

52. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძვირფასი ხეების ჯიშთა ნედლი რესურსების დაცვისა და წესიერი ექსპლოატაციის ღონისძიებათა შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

53. კარტოფილის ვაჭრობის შესახებ.

54 1937 წელს რძის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

55. საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო გამომცემლობის—„საქმედგამის" საქართველოს სახელმწიფო ბიოლოგიურ-მედიკურ გამომცემლობად—„საქბიომედგამად" გადარქმევის შესახებ.

განათლება.

56. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოში ამ სამმართველოს ქვემდებარე წამოწყებების მშენებლობისა და მათში სამეურნეო წესით სარემონტო სამუშაოების წარმოებისათვის ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი აპარატის მოწყობის შესახებ.

57. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში ხალხური შემოქმედების კაბინეტის მოწყობის შესახებ.

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა.
სოფლის მეურნეობა.

49. დადგენილება ს.კ.ს.

1937 წელს ციტრუსოვანი კულტურების საგაზაფხულო კვირტმყნობის (ოკულირების) გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ციტრუსოვანი კულტურების საგაზაფხულო კვირტმყნობის (ოკულირების) გეგმა 1.388.300 ცალის რაოდენობით; აქედან: ლიმონი—1.099.900 ცალი, ფორთოხალი—220.000 ცალი და მანდარინი—68.400 ცალი (რაიონობითი გეგმა იხ. დანართში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937 წელს ციტრუსოვანი კულტურ. საგაზაფ. კვირტმყნობის (ოკულირების) გეგმა

რაიონები.	სექტორები	საგაზაფხ. კვირტ-მყნობის გეგმა მთლად	აქედან		
			ლიმონი	ფორთო-ხალი	მანდა-რინი
აფხაზეთი	საბჭოთა მეურნეობანი	220.000	200.000	20.000	—
	სულ . . .	**220.000**	**200.000**	**20.000**	—
აჭარა	ლიმანტრესტის საბ. მეურნეობანი . .	5.500	2.500	3.000	—
	„საქართველოს ჩაი" საბ. მეურნეობა .	25.000	10.000	15.000	—
	დანარჩენი საბჭოთა მეურნეობანი . .	154.000	104.000	50.000	—
	კოლმეურნეობანი	137.000	60.000	77.000	—
	სულ . . .	**321.500**	**176.500**	**145.000**	—
მახარაძის რაიონი	ლიმანტრესტის საბ. მეურნეობა . . .	50.000	40.000	10.000	—
	„საქართველოს ჩაის" მეურნეობანი .	56.000	51.000	5.000	—
	კოლმეურნეობანი	294.000	279.000	15.000	—
	სულ . . .	**400.000**	**370.000**	**30.000**	—
გუდაუთის რაიონი	ლიმანტრესტის საბ. მეურნეობა . . .	4.400	4.400	—	—
	„საქარ. ჩაის" საბ. მეურნეიბანი . . .	3.000	3.000	—	—
	კოლმეურნეობანი	96.000	91.000	5.000	—
	სულ . . .	**103.400**	**98.400**	**5.000**	—
ცხაკაიას რ-ნი					
ონის „	კოლმეურნეობანი	40.000	40.000	—	—
ჩოხატაურის „	კოლმეურნეობანი	14.000	—	—	14.000
ლანჩხუთის „	კოლმეურნეობანი	150.000	140.000	10.000	—
აბაშის „	კოლმეურნეობანი	22.000	—	—	22.000
ხობის „	კოლმეურნეობანი	42.400	10.000	—	32.400
ფოთის რ-ნი	საბჭოთა მეურნეობანი	37.000	32.000	5.000	—
	კოლმეურნეობანი	38.000	33.000	5.000	—
	სულ . . .	**75.000**	**65.000**	**10.000**	—
სულ . .	**რესპუბლიკაში**	**1388.300**	**1099.900**	**220.000**	**68.400**
	აქედან				
	ლიმანტრესტის საბ. მეურნეობანი . .	59.900	46.900	13.000	—
	„საქ. ჩაის" საბ. მეურნეობანი	84.000	64.000	20.000	—
	დანარჩენი მეურნეობანი	411.000	336.000	75.000	—
	კოლმეურნეობანი	833.400	653.000	112.000	68.400

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—უზრუნველყოს ზამთრის მყნობის ჩატარება 180 ათასი ცალი მარტოოდენ ლიმონის და ფორთოხლისა.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის ცხაკაიას და ხობის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს—მიაწვდინონ ეს გეგმა თვითეულ კოლმეურნეობამდე და უზრუნველყონ ლიმონის და ფორთოხლების საგაზაფხულო კვირტმყნობის გეგმის ვადაზე შესრულება.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ს. მებუკე.**

1937 მარტის 14. № 262.
ტფილისი.

---

50. დადგენილება ც. ა. კ.

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობისათვის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილებულ იქნას წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციისა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების შუამდგომლობა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობისათვის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1937 წ. მარტის 11.
ტფილისი

51. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

1937 წლის გაზაფხულზე გამოკვებილი აბრეშუმის ჭიის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

„1937 წლის გაზაფხულზე გამოკვებილი აბრეშუმის ჭიის პარკის კონტრაქტაციის და დამზადების გეგმის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის 1937 წ. თებერვლის 8-ის თარიღისა და 226 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ-ში გაზაფხულზე გამოკვებილი აბრეშუმის ჭიის პარკის კონტრაქტაციის და დამზადების გეგმა 3434,4 ტონის რაოდენობით; აბრეშუმის ჭიის თესლის რეალიზაციის გეგმა, ერთ კოლოფ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესლზე გამოსავალის ნორმები და პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა განაწილებულ იქნას ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებზე შემდეგნაირად (იხ. დანართი).

დანართი

გ ე გ მ ა

1937 წელს საქართველოს სსრ-ში აბრეშუმის ჭიის გავრცელებისა კოლოფებით, თითო კოლოფზე გამოსავლისა კილოგრამობით და პარკის დამზადებისა ტონობით.

რაიონების სახელწოდება	აბრეშუმის ჭიის თესლის დარიგების გეგმა	საშუალო გამოსავალი კოლოფ თესლზე	პარკის დამზადების გეგმა	შენიშვნები
1. ტფილისის	250	38	9,5	
2. თელავის	1600	48	76,8	
3. გურჯაანის	920	50	46,0	
4. ყვარლის	1800	40	72,0	
5. ლაგოდეხის	1450	47	68,1	
6. სიღნაღის	850	49	41,6	
7. საგარეჯოს	170	38	6,5	
8. ბორჩალოს	300	36	10,8	
9. ლუქსემბურგის	160	47	7,5	
10. კასპის	230	36	8,3	
11. გორის	100	35	3,5	
12. ხაშურის	60	25	1,5	
13. ორჯონიკიძის	450	47	21,1	
14. ჭიათურის	350	43	15,0	
15. ჯუღელის	1600	49	78,4	
16. ჩხარის	1400	44	61,6	
17. ბაღდადის	1070	40	42,8	
18. ქუთაისის	5000	49	245,0	
19. ტყიბულის	160	46	7,4	
20. ვანის	3950	43	169,8	
21. სამტრედიის	5700	45	256,5	
22. წულუკიძის	4300	45	193,5	
23. ამბროლაურის	400	39	15,6	
24. ჩოხატაურის	3400	45	153,0	
25. აბაშის	4000	44	176,0	
26. გეგეჭკორის	4700	42	197,4	
27. ცხაკაიას	3500	40	140,0	
28. ხობის	2700	38	102,6	
29. ჩხოროწყუს	3100	41	127,1	
30. ზუგდიდის	5500	45	247,5	
31. წალენჯიხის	2200	36	79,2	
32. ფოთის	400	44	17,6	
33. ლანჩხუთის	4700	37	173,9	
34. ცაგერის	700	42	29,4	
35. მახარაძის	4450	45	200,2	
36. აჭარის ასსრ	780	43	33,5	
37. აფხაზეთის ასსრ	7100	42	298,2	
საქართველოში	**79500**	**43,2**	**3434,4**	

2. პარკის კონტრაქტაცია და დამზადება დაეკისროს „საქაბრეშუმტრუსტს“ პარკის კონტრაქტაცია დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს 1937 წლის მარტის 15-ისა.

3. 1937 წლისთვის შენარჩუნებულ იქნას პარკის სადამზადებლო ფასები და გასაცემი ავანსის რაოდენობა ისე, როგორც იგი განსაზღვრულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. მარტის 12-ის დადგენილებით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგანი ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს 1937 წლის მეორე და მესამე კვარტალში აბრეშუმის საქონლის ფონდის შეზიდვა სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით იაფი სასოფლო ასორტიმენტის სახით პარკის ჩამბარებლებისათვის მისაყიდად.

5. დაწესებულ იქნას, რომ ის კოლექტიური მეურნეობანი, კოლმეურნე და ერთპიროვნული მეურნეობანი, რომელნიც გადამეტებით შეასრულებენ სახელმწიფოსათვის კონტრაქტაციის პარკის ჩაბარების გეგმას, მიიღებენ გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითოეულ კილოგრამ პარკზე პრემია-წანამატს 1936 წელს მოქმედი რაოდენობით—ისე, რომ:

ა) როდესაც პარკის ჩაბარების გეგმა ერთ კოლოფ აბრეშუმის თესლზე 55 კილოგრამზე მეტია, თვითეულ კილოგრამ პარკზე, რასაც ისინი 55 კილოგრამის ზედმეტად ჩააბარებენ, პრემია-წანამატი მიეცემათ არსებულისა დამზადებლო ფასის 300% რაოდენობით;

ბ) პრემია-წანამატი ეძლევათ მარტოოდენ გეგმის ზედმეტად ჩაბარებული ნორმალური ხარისხის პარკისათვის, ხოლო სადამზადებლო წუნისა და შავი ჩხარის პარკისათვის პრემია-წანამატი არ ეძლევათ.

6. მეაბრეშუმე კოლმეურნეთათვის აგრომომსახურეობის გასაწევად კოლექტიური მეურნეობების გამგეობათ ერეკომენდებათ გამოყონ სპეციალური მეაბრეშუმე-ინსტრუქტორი, რომელსაც სასყიდელი უნდა მიეცეს კოლექტიური მეურნეობის მიერ შრომა-დღეების მიხედვით.

დაწესებულ იქნას, რომ „რაიაბრეშუმებმა“ უნდა გადაუხადონ იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომლებიც მეაბრეშუმე ინსტრუქტორებს გამოყოფენ, არსებული სადამზადებლო ფასის დამატებად 25 კაპ. თვითეულ კილოგრამ პარკზე, ოასაც უწყებული კოლექტიური მეურნეობის კოლმეურნენი ჩააბარებენ; ეს ხარჯი მიეწერება დადგენილი სადამზადებლო ხარჯების ნორმებს.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და „საქაბრეშუმტრესტს“:

ა) ჩაატარონ მარტის განმავლობაში ორთვიანი კურსები საინსტრუქტორო და საagრონომო პერსონალის გარდასამზადებლად; კურსები მოწყობილ იქნას 468 კაცისათვის;

ბ) ჩაატარონ ა/წ. მარტის 20-მდე სამდღიანი კურს-კონფერენციები „რაიაბრეშუმების“ გამგეთა და უფროს აგრონომთა გარდასამზადებლად 52 კაცისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ჩაატარონ აპრილის განმავლობაში ორკვირიანი კურსები ჩამხშობთა და მიმღებთა გარდასამზადებლად 324 კაცისათვის;

დ) მოაწყონ აბრეშუმის ჭიის თესლის ინკუბაციის დაწყებამდე მეაბრეშუმეობის ორკვირიანი კურსები კოლექტიური მეურნეობების მიერ გამოყოფილი მეაბრეშუმე-ინსტრუქტორებისათვის;

ე) უზრუნველყონ სასაკვებო თაროების დამზადება და შეზიდვა კოლექტიურ მეურნეობებში 300 კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლისათვის.

სასაკვებო თაროების რეალიზაცია მეაბრეშუმეებზე ჩატარებულ იქნას გრძელვადიანი კრედიტის პირობებზე.

8. აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აფხაზეთის და აჭარის საოლქო კომიტეტებმა, მეაბრეშუმეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულმა კომიტეტებმა უნდა ჩაატარონ მეაბრეშუმე კოლმეურნეთა შორის მუშაობა მათთვის აბრეშუმის ჭიის კვების მეთოდებისა და 1936 წელს პარკის დიდი მოსავლის მიმღებ, საუკეთესო მეაბრეშუმეთა მიღწევების გასაცნობად, უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარების გაწევა მეაბრეშუმეთათვის, გააუმჯობესონ აგრომომსახურეობა და მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება მეაბრეშუმეთა, მეაბრეშუმეების ცალკეულ სტახანოველთა, სოფელთა და რაიონთა შორის ჭიის კვების წესების უფრო უკეთესად განხორციელებაზე, თუთის ნარგავთა მოვლაზე, პარკის დიდი მოსავლის მიღებაზე.

9. დაევალოს საქართველოს სსრ-ისა, აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, მეაბრეშუმეობის რაიონების სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, აგრეთვე „საქაბრეშუმტრესტს“ ჩაატარონ საჭიეების დეზინფექცია ყველა მეურნეობაში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დეზინფექციის ჩატარებას იმ მეურნეობებში, სადაც 1936 წელს ჭია დაავადებული იყო.

მოწყობილ იქნას ბრძოლა ჭიის დანაკარგთან ჭიის კვების მთელ პერიოდში და განსაკუთრებით-კი პირველი ორი ხნოვანობის პერიოდში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საჭიეების სუფთად შენავხას, ქაღალდის თავის დროზე გამოცვლას და ჭიის თავის დროზე კვებას საკმარისად და თუთის ახალი ფოთლებით.

დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აფხაზეთის და აჭარის საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სარაიონო და საქალაქო კომიტეტებს—სამაგალითოდ ჩაატარონ მეაბრეშუმეთათვის აბრეშუმის ჭიის თესლის დარიგება, პარკის კონტრაქტაცია და მეაბრეშუმეთა მიერ ჭიის გამოკვება; უზრუნველყონ მეაბრეშუმეთა ფართო შეჯიბრება; სისტემატური კონტროლი გაუწიონ მუშაობის მსვლელობას მეაბრეშუმეობის სფეროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოისმინონ ხოლმე მოხსენებები ამის შესახებ ბიუროში და ისე მოაწყონ ამ მუშაობის ჩატარება, რომ პასუხსაგები და დიდი ამოცანა—1937 წელს 3.434,4 ტონა აბრეშუმის წარმოებისა— უცილობლად შესრულებულ იქნას.

საქ. სსრ სკს-ოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
ვ. ბაქრაძე.

1937 წ. მარტის 5. № 264.
ტფილისი.

---

52. დადგენილება ს.ა.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძვირფასი ხეების ჯიშთა ნედლი რესურსების დაცვისა და წესიერი ექსპლოატაციის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძვირფასი მერქნის ნედლი რესურსების დაცვისა და ამ ფონდის რაციონალური ექსპლოატაციის უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძვირფას ჯიშთა მერქნის დამზადება, როგორც სახელმწიფო ფონდის ტყეებში, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ტყეებში, აგრეთვე განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების და კერძო პირების სარგებლობაში მყოფ მიწებზე ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ წამოწყებას, დაწესებულებას და ორგანიზაციას, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანოების გარდა, ხოლო საკურორტო ტყეებში—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის საკურორტო სამმართველოების გარდა.

შენიშვნა. ძვირფას ჯიშთა მერქნის დამზადების ნება ეძლევათ აგრეთვე, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კონტროლქვეშ, „საქტყერეწკავშირის“ სისტემაში შემავალი სატყეო-სამრეწველო არტელებს იმ ადგილებში, სადაც ეს არტელები მოწყობილია 1937 წ. თებერვლის 1-მდე, და, ამასთანავე, იმ აუცილებელი პირობით, რომ დამზადება წარმოებდეს თვით არტელის წევრთა ძალებით, დაჭირავებული შრომის გამოუყენებლად.

2. ძვირფასი ხეების ჯიშებს, რომელთა თავისუფალი დამზადება აკრძალულია ამა დადგენილებით, ეკუთვნის: ბზა, ურთხმელა, ძელქვა, კაკალი, კაკლის თია, კავკასიური ოდალაჯი, ბოკვი, სარეზონანსო ნაძვი, წაბლი, ხურმა, მსხალი, დათვის თხილი, ყველა სახის ნაკერჩხალი და ჭანდარი.

3. ძვირფას ჯიშთა მერქნის დამზადება იმ ორგანოების მიერ, რომელთაც საამისო უფლება აქვთ ამა დადგენილების 1-ლი მუხლისა და მისი შენიშვნის თანახმად, წარმოებს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომი-

სარიატის მიერ შემუშავებული (საკურორტო ტყეების მიმართ—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოსთან ერთად) წლიური სადამზადებლო გეგმის მოცულობით; ამასთანავე, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნას: ა) სანედლეულო შესაძლებლობანი, ბ) ძვირფას ჯიშთა მერქნის ფონდის წესიერი ექსპლოატაცია, რაც უზრუნველყოფს მის შენარჩუნებას, და გ) ძვირფასი ჯიშის ხეების დამმუშავებელ წამოწყებათა საწარმოო მოთხოვნილებანი.

აღნიშნულ წლიურ გეგმას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

4. ამა დადგენილების წესისამებრ დამზადებულ ძვირფას ჯიშთა მერქანს ანაწილებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია, ამ მერქანის გადამმუშავებელ საწარმოო წამოწყებებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს შორის; ამასთანავე, პირველ რიგში უზრუნველყოფილ უნდა იქნას სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის წამოწყებები, ხოლო საფანერო მერქანი გადაეცემა მარტოოდენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე საფანერო ფაბრიკებს.

5. აიკრძალოს ძვირფას ჯიშთა მერქნის გატანა საქართველოს სსრ ფარგლებიდან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიტის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი, ამ კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების ნებადაურთველად.

6. ძვირფასი ჯიშის ხეების თვითნებობით მოჭრისა და ყიდვისათვის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანოების უნებართვოდ დამნაშავე პირნი მიიცემიან პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8,87 და 108 მუხლების თანახმად.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ პროკურორს—უზრუნველყონ ამა დადგენილების დარღვევის აღძრული საქმეების სასწრაფოდ გამოძიება და განხილვა.

7. კონტროლი ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, რომელსაც მიენდოს სათანადო ინსტრუქციის გამოცემა.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 17-ის დადგენილება „ძვირფასი ჯიშის ხეების მერქნის დაცვის ღონისძიებათა და მისი დამზადების წესის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 № 21. მუხ. 238).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის თ. ა. **ხ. მებუკე.**

1937 წ. მარტის 7. № 232.
ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება.

53. დადგენილება ს.კ.ს.

კარტოფილის ვაჭრობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთვას კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს მიჰყიდონ დაუბრკოლებლად კოოპერატიულ ორგანიზაციებს კარტოფილი და აგრეთვე გაყიდონ იგი ქალაქისა და სოფლის ბაზრებზე და რკინის გზის სადგურებზე.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—უზრუნველყონ კარტოფილის თესლით მათთვის დამტკიცებული გეგმები კარტოფილის თესვისა, ზედმეტი კარტოფილის მქონე კოლექტიური მეურნეობებისაგან კარტოფილის შესყიდვით და კოლმეურნეობათა შორის საურთიერთო დახმარებით.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა რეგულარულად უნდა შეამოწმოს სათესლე კართოფილის შესყიდვის მსვლელობა და იხმაროს ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ ა/წ. თებერვლის 21-ის თარიღით და 193 №-ით გამოცემული დადგენილებით დამტკიცებული კარტოფილის თესვის გეგმის შესრულებას. (გაზ. „კომუნისტი“ 1937 წ. № 44).

3. ნებადართულ იქნას თესვის მიზნებისათვის მთლად იმ, სათესად ვარგისი, სასურსათო კართოფილის გამოყენება, რაც მიიღება დამზადების პუნქტებში დამზადებათა სახელმწიფო გეგმის მიხედვით 1937 წ. თებერვლის 1-ის შემდეგ.

F 1951

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. მარტის 7. № 251.
ტფილისი

---

54. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

1937 წელს რძის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„1937 წელს სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წ. იანვრის 26-ის

სარიატის მიერ შემუშავებული (საკურორტო ტყეების მიმართ—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოსთან ერთად) წლიური სადამზადებლო გეგმის მოცულობით; ამასთანავე, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნას: ა) სანედლეულო შესაძლებლობანი, ბ) ძვირფას ჯიშთა მერქნის ფონდის წესიერი ექსპლოატაცია, რაც უზრუნველყოფს მის შენარჩუნებას, და გ) ძვირფასი ჯიშის ხეების დამმუშავებელ წამოწყებათა საწარმოო მოთხოვნილებანი.

აღნიშნულ წლიურ გეგმას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

4. ამა დადგენილების წესისამებრ დამზადებულ ძვირფას ჯიშთა მერქანს ანაწილებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია, ამ მერქანის გადამმუშავებელ საწარმოო წამოწყებებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს შორის; ამასთანავე, პირველ რიგში უზრუნველყოფილ უნდა იქნას სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის წამოწყებები, ხოლო საფანერო მერქანი გადაეცემა მარტოოდენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე საფანერო ფაბრიკებს.

5. აიკრძალოს ძვირფას ჯიშთა მერქნის გატანა საქართველოს სსრ ფარგლებიდან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიტის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი, ამ კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების ნებადაურთველად.

6. ძვირფასი ჯიშის ხეების თვითნებობით მოჭრისა და ყიდვისათვის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანოების უნებართვოდ დამნაშავე პირნი მიიცემიან პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8,87 და 108 მუხლების თანახმად.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ პროკურორს—უზრუნველყონ ამა დადგენილების დარღვევის აღძრული საქმეების სასწრაფოდ გამოძიება და განხილვა.

7. კონტროლი ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, რომელსაც მიენდოს სათანადო ინსტრუქციის გამოცემა.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 17-ის დადგენილება „ძვირფასი ჯიშის ხეების მერქნის დაცვის ღონისძიებათა და მისი დამზადების წესის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 № 21. მუხ. 238).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის თ. ა. **ხ. მებუკე.**

1937 წ. მარტის 7. № 232.
ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება.

53. დადგენილება ს.კ.ს.

კარტოფილის ვაჭრობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთვას კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს მიჰყიდონ დაუბრკოლებლად კოოპერატიულ ორგანიზაციებს კარტოფილი და აგრეთვე გაყიდონ იგი ქალაქისა და სოფლის ბაზრებზე და რკინის გზის სადგურებზე.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—უზრუნველყონ კარტოფილის თესლით მათთვის დამტკიცებული გეგმები კარტოფილის თესვისა, ზედმეტი კარტოფილის მქონე კოლექტიური მეურნეობებისაგან კარტოფილის შესყიდვით და კოლმეურნეობათა შორის საურთიერთო დახმარებით.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა რეგულარულად უნდა შეამოწმოს სათესლე კართოფილის შესყიდვის მსვლელობა და იხმაროს ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ ა/წ. თებერვლის 21-ის თარიღით და 193 №-ით გამოცემული დადგენილებით დამტკიცებული კარტოფილის თესვის გეგმის შესრულებას. (გაზ. „კომუნისტი“ 1937 წ. № 44).

3. ნებადართულ იქნას თესვის მიზნებისათვის მთლად იმ, სათესად ვარგისი, სასურსათო კართოფილის გამოყენება, რაც მიიღება დამზადების პუნქტებში დამზადებათა სახელმწიფო გეგმის მიხედვით 1937 წ. თებერვლის 1-ის შემდეგ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ს. **მებუკე.**

1937 წ. მარტის 7. № 251.
ტფილისი

---

54. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

1937 წელს რძის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„1937 წელს სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წ. იანვრის 26-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა სა-

ბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აწესებენ:

1. შენარჩუნებულ იქნას 1937 წელს სავალდებულო, კანონის ძალის მქონე, ჩაბარებათათვის 1936 წელს მოქმედი წესი, ვადები და ნორმები კოლექტიური მეურნეობების, საკოლმეურნეო კომლების და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარებისა.

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად, შემცირებულ იქნას ნახევრად 1937—38 წელს რძის სავალდებულო ჩაბარების ნორმები, რაც 1936 წ. მოქმედებდა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორისა და ჯავის რაიონების კოლექტიური მეურნეობებისა და სტალინირის რაიონის მაღლობი კოლექტიური მეურნეობებისათვის, აგრეთვე ყაზბეგის რაიონის კოლექტიური მეურნეობებისა და დუშეთის რაიონის მაღლობი ნაწილის კოლექტიური მეურნეობებისათვის.

3. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის 1935 წ. თებერვლის 21-ის დადგენილების შესაბამისად, დადასტურებულ იქნას 1937 წლისათვისაც რძის ჩაბარებისაგან იმ მეურნეობების სრულიად განთავისუფლება, რომელთაც ჰყავთ ბერწი ფურ-კამეჩი.

4. დადასტურებულ იქნას 1937 წ. რძის ჩაბარებისაგან განთავისუფლება აჭარის ასსრ-ის ქობულეთის და ბათუმის რაიონების ქურთთა და ხემშილთა და ახალციხის რაიონის მუტრუფთა მომთაბარე მესაქონლე მოსახლეობისა და წალენჯიხის რაიონის სტალინის სახელობის მეცხოველეობის კოლექტიური მეურნეობისა, რომლის საქონელიც—აზოვ შავიზღვის მხარეში მომთაბარეობს.

5. საჭიროდ იქნას ცნობილი, რათა 1937 წელს ძალაში დარჩეს რძის ჩაბარების შემდეგი შეღავათები, რომლებიც საქართველოს სსრ-ში 1936 წელს არსებობდა:

ა) რძის ჩაბარებისაგან ადიგენის, ასპინძის, ხულოს და ქედის სანაპირო რაიონებისა, ახალქალაქის რაიონის ოქამის და ხავეტის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა და აგრეთვე ზემო და ქვემო სვანეთისა და დუშეთის რაიონის ხევსურთა სოფლების ერთპიროვნული მეურნეობების განთავისუფლება;

ბ) რძის ჩაბარებისაგან ბერწი ძროხების პატრონთა განთავისუფლება აფხაზეთის ასსრ-ში, აჭარის ასსრ-ში და დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

6. განთავისუფლებულ იქნან 1937 წელს რძის ჩაბარებისაგან ყაზბეგის რაიონის ხევსურთა სოფლები ართხმო და ჯუთა და თელავის რაიონის მთათუშეთი.

7. საკოლმეურნეო მერძეული ფერმების მიერ ჩაბარებული რძის რაოდენობის 10 პროცენტი ჩაეთვალოთ უწყებული კოლექტიური მეურნეობის კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეთ პირად ვალდებულებათა აღსრულებად ისეთი რაოდენობით, რომელიც თვითეული მათგანისათვის განსაზღვრავს კოლექტიური მეურნეობის გამგეობა.

8. აღიძრას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე საკითხი ამა დადგენილების მე-4, 5 და 6 მუხლებით გათვალისწინებული შეღავათების შეფარდების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ვ. ბაქრაძე.**

1937 წ. მარტის 21. № 286.
ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

55. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო გამომცემლობის—„საქმედგამის" საქართველოს სახელმწიფო ბიოლოგიურ-მედიკურ გამომცემლობად—„საქბიომედგამად" გადარქმევის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს გააფართოვოს საქართველოს სახელმწიფო მედიკური გამომცემლობა „საქმედგამი" და დაავალოს მას ბიოლოგიური ლიტერატურის გამოცემაც.

ამასთან დაკავშირებით აღნიშნულ გამომცემლობას ეწოდოს საქართველოს სახელმწიფო ბიოლოგიურ-მედიკური გამომცემლობა—„საქბიომედგამი".

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. თებერვლის 4. № 135.
ტფილისი.

განათლება

56. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, ხელოვნების საქმეთა სამმართველოში ამ სამმართველოს ქვემდებარე წამოწყებების მშენებლობისა და მათში სამეურნეო წესით სარემონტო სამუშაოების წარმოებისათვის ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი აპარატის მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთვას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მოაწყოს აპარატი, რომელიც ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ამ სამმართველოს ქვემდებარე წამოწყებათა მშენებლობისა და მათში სამეურნეო წესით სარემონტო სამუშაოების წარმოებისათვის.

37 147

2. აღნიშნული აპარატის შესანახი ხარჯი მიეკუთვნოს ხარჯთაღრიცხვებით ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებისათვის გათვალისწინებულ ანარიცხებს.

3. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს—დაამტკიცოს აღნიშნული აპარატის დებულება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის თან. **ვ. ლუნკევიჩი.**

1937 წ. მარტის 17. № 272.
ტფილისი.

---

57. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში ხალხური შემოქმედების კაბინეტის მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში ხალხური შემოქმედების კაბინეტი.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს 1937 წლის ხარჯთაღრიცხვაში კაბინეტის შენახვისა და მოწყობისათვის საჭირო სახსრები და დაამტკიცოს აღნიშნული კაბინეტის საშტატო კონტინგენტი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაამტკიცოს დებულება ხალხური შემოქმედების კაბინეტის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის თ. მ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. მარტის 21. № 290.
ტფილისი

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმ. მმართველობა 1937 წ. № 15. პ/მ. **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 27/III ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IV; ტირაჟი 1.900.

მთავლ. რწმ. № 16987 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკვ. № 489